

## საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი



### მოწვევა ფასთა კოტირებაზე - საქონლის შესყიდვა

საქართველო

რეგიონული განვითარების პროექტი (RDP)

თელავში ბატონის ციხის მუზეუმისთვის კომპიუტერებისა და

ელექტრო ტექნიკის მიწოდება

პროექტის ნომერი: P126033

კონტრაქტის/კოტირების #IBRD/RDP/G/SH/07-2017

საქართველომ მიიღო მსოფლიო ბანკისაგან (The World Bank) დაფინანსება რეგიონული განვითარების პროექტის (RDP) განსახორციელებლად და განზრახული აქვს ამ სახსრების ნაწილი გამოიყენოს შემდეგი კონტრაქტით გათვალისწინებული გადახდებისათვის: „თელავის ბატონის ციხის მუზეუმისთვის აღჭურვილობის მიწოდება“

1. თქვენ მოწვეული ხართ ფასთა კოტირების წარმოსადგენად შემდეგი საქონლის მიწოდების მიზნით: **კომპიუტერებისა და ელექტრო ტექნიკის მიწოდება და ინსტალაცია**. ინფორმაცია ტექნიკური სპეციფიკაციების და საჭირო მოცულობების შესახებ მოცემულია “მოწოდების პირობებსა და ვადებში”.
2. ფასთა კოტირება შეფასდება ყველა პუნქტისათვის ერთობლივად და კონტრაქტი მიენიჭება იმ პირს, რომელიც ყველაზე დაბალ შეფასებულ მთლიან ფასს წარმოადგენს ყველა პუნქტისათვის ერთობლივად.
3. ფასთა კოტირებაში მონაწილე პირმა ერთიანი ელექტრონული სისტემის მეშვეობით უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტები:
  - ფასთა კოტირების ფორმა (დანართი №1)
  - მოწოდების ვადები და პირობები (დანართი №2)
4. თქვენ მიერ ქართულ ენაზე წარმოდგენილ ფასთა კოტირებას თანდართული უნდა ჰქონდეს სათანადო ტექნიკური დოკუმენტაცია, კატალოგ(ები)ი და სხვა ბეჭდური მასალა ან შესაბამისი ინფორმაცია თითოეული განფასებული პოზიციისთვის, მათ შორის საქართველოში მომსახურების ობიექტების მომწოდებელი ფირმების სახელწოდებები და მისამართები.

5. ფასთა კოტირებაში მონაწილე კომპანიას უნდა ჰქონდეს გამოცდილება მსგავსი აღჭურვილობის მიწოდების სფეროში (დამკვეთი იტოვებს უფლებას, რომ აღნიშნული გამოცდილების დამადასტურებლად მოითხოვოს დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენა).

6. ფასთა კოტირებები წარმოდგენილი უნდა იქნას ქვემოთ მოყვანილი ინსტრუქციების თანახმად და თანდართული კონტრაქტის შესაბამისად. თანდართული „მიწოდების პირობები და ვადები“ წარმოდგენს კონტრაქტის განუყოფელ ნაწილს.

(i) ფასები: კოტირების ფასები წარმოდგენილი უნდა იყოს ეროვნულ ვალუტაში - ლარში. მთლიანი ფასი უნდა მოიცავდეს საქონლის საბოლოო დანიშნულების ადგილზე (თელავის მუნიციპალიტეტი, მისამართი: **ერეკლე II მოედანი, ქ. თელავი, საქართველო**) მიტანის და ინსტალაციის ხარჯებს, ასევე მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს, დღგ-ს, სახმელეთო ტრანსპორტირების ხარჯს, დაზღვევის ხარჯებს, დატვირთვისა და გადმოტვირთვის ხარჯებს.

(ii) კოტირებების შეფასება: ის შემოთავაზებები, რომლებიც არსებითად დააკმაყოფილებს ტექნიკურ სპეციფიკაციებს შეფასდება მთლიანი ფასის შედარებით, ზემოთმოყვანილი მე-2 პარაგრაფის შესაბამისად.

კოტირებების შეფასებისას შემსყიდველი თითოეული კოტირებისათვის განსაზღვრავს შეფასებულ ფასს კოტირების კორექტირებით და ნებისმიერი არითმეტიკული შეცდომის ჩასწორებით, როგორც ქვემოთ არის მოყვანილი:

(ა) იქ, სადაც სახეზეა შეუსაბამობა ციფრებსა და სიტყვებში გამოსახულ თანხებს შორის, უპირატესობა მიენიჭება სიტყვებში გამოსახულ თანხას;

(ბ) იქ, სადაც სახეზეა შეუსაბამობა ერთეულის ფასსა და პუნქტების ქვეჯამებს შორის, რაც მიღებულია ერთეულის ფასის რაოდენობაზე გამრავლებით, უპირატესობა მიენიჭება ერთეულის ფასს;

(გ) თუ მომწოდებელი უარს განაცხადებს შესწორების მიღებაზე, მისი კოტირება უარყოფილი იქნება.

(iii) კონტრაქტის მინიჭება: კონტრაქტი მიენიჭება ტენდერის იმ მონაწილეს, რომელიც წარმოდგენს ყველაზე დაბალი ფასის მქონე არსებითად შესაბამის კოტირებას და რომელიც შესატყვისობაში იქნება მოთხოვნილ ტექნიკურ სპეციფიკაციებთან და საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან. წარმატებული კოტირების მონაწილე ხელს მოაწერს კონტრაქტს თანდართული კონტრაქტის ფორმის და მიწოდების პირობებისა და ვადების შესაბამისად.

(iv) შემოთავაზების ქმედუნარიანობა: თქვენი კოტირება(ები) ძალაში იქნება წინამდებარე ფასთა კოტირების მიღების ბოლო ვადიდან ორმოცდახუთი (45) დღის განმავლობაში.

## 7. ინსპექტირება და აუდიტი

7.1 მომწოდებელი შეასრულებს შემსყიდველის ყველა ინსტრუქციას, რომელიც შესატყვისობაშია დანიშნულების ადგილას მოქმედ კანონმდებლობასთან.

7.2 მომწოდებლის ყურადღება უნდა მიექცოს კონტრაქტის ფორმის მე-5 მუხლს – **თაღლითობა და კორუფცია**, რაც სხვა დებულებათა შორის იმასაც უზრუნველყოფს, რომ ყველა ქმედება, რომელიც გამიზნულია ბანკის მიერ ინსპექტირებისა და აუდიტის უფლების გამოყენების შეზღუდვისაკენ, წარმოდგენს აკრძალულ პრაქტიკას და კონტრაქტის შეწყვეტას ექვემდებარება.